EPRC
Economic Policy Research Center

საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში

დეკემბერი 2011

საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში

დეკემბერი 2011

სარჩევი

შესავალი 6
ფულადი გზავნილების არსი 7
ფულადი გზავნილების დადებითი და უარყოფითი ასპექტები 10
როგორ გამოვიყენოთ ფულადი გზავნილების სრული პოტენციალი 15
დასკვნები და რეკომენდაციები 19
გამოყენებული ლიტერატურა 21

გრაფიკი 1 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით (2011 წლის მონაცემი) www.nbg.ge 8
გრაფიკი 2 ფულადი გზავნილები (2007–2011I-III*) www.nbg.ge 8
გრაფიკი 3 ძირითადი ქვეყნები ფულადი გზავნილების მიხედვით (2007–2011 I-III*) www.nbg.ge 9
გრაფიკი 4 ფულადი გზავნილები და გრანტები 2009–2010 www.geostat.ge 9
გრაფიკი 5 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები 2007–2011 I-III* www.geostat.ge 9
გრაფიკი 6 საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში 2009–2011 (I-XI) www.geostat.ge 11
გრაფიკი 7 ინფლაცია და უმუშევრობა (2007–2010) www.geostat.ge 12
გრაფიკი 8 ფულადი გზავნილები და ინფლაცია 2009–2011 www.nbg.ge, www.imf.org 12
გრაფიკი 9 აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი www.nbg.ge 13
გრაფიკი 10 საგარეო ვაჭრობა (მილ. აშშ დოლარი) 2006–2011 www.geostat.ge 14
გრაფიკი 11 დეპოზიტები და სესხები www.nbg.ge 16

შესავალი

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისათვის ინსტიტუციონალური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „ღია საზოგადოების ინსტიტუტის„ ფინანსური მხარდაჭერით, გთავაზობთ, მესამე ანგარიშს: „საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში„, როგორც ანგარიშის მესამე „მთავარ თემას.„

ეს საკითხი საზოგადოებისთვის მისი მნიშვნელობის გამო შევარჩიეთ. ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი მიგნებები და კონკრეტული რეკომენდაციები.

ფულადი გზავნილების არსი

„საერთაშორისო ფულადი გზავნილები ის პირადი თანხებია, რომლებსაც მიგრანტები თავიანთ სამშობლოში მცხოვრებ ოჯახებსა და მეგობრებს უგზავნიან“[1]. მსოფლიოს მასშტაბით 215 მილიონი ადამიანი სამშობლოს გარეთ ცხოვრობს. 2008 წელს, მიგრანტების ფულადმა გზავნილებმა ყველა განვითარებადი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2% და დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მშპ-ის 6% შეადგინა. საერთოდ, 2000 წლიდან ფულადი გზავნილების რაოდენობა განუხრელად იზრდება. მათი მოცულობა თითქმის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობას უტოლდება და ორჯერ და მეტად აღემატება განვითარებადი ქვეყნების მიერ მიღებულ უცხოურ დახმარებას. განვითარებად ქვეყნებში ფულადი გზავნილები ღარიბი მოსახლეობის ერთადერთი საარსებო წყაროა და სიღარიბის დონესა და სიმძიმეს ამცირებს. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, მიგრაცია გადარჩენის სტრატეგიაა. დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა ხალხს სხვა ქვეყნებში სამუშაოს ძიებისკენ უბიძგებს. რუსეთი და ყაზახეთი კი, პოსტსაბჭოთა სივრცეში, დანიშნულების მთავარი პუნქტებია, ვინაიდან ამ ქვეყნების შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მაღალია რეგიონში[2].

ფულადი გზავნილები საქართველოს ეკონომიკაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვინაიდან ბევრი ქართველი ქვეყნიდან არის გასული. მათი უმრავლესობა რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, აშშ-ში, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთსა და თურქეთში ცხოვრობს. ადამიანების გადაადგილების თავისუფლება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წყაროა. ფულადი გზავნილები პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, მაგალითად, ეროვნულ რეზერვებზე; გარდა ამისა, ქვეყანაში თითქმის ყოველი ათი ადამიანიდან ერთის შემოსავლის წყაროა. 2011 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა 812,6 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია (გრაფიკი 2), რაც 19.6%-იანია ზრდაა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით და ქვეყნის მშპ-ის 6%-ს შეადგენს[3]. უხეში გათვლებით, მოსახლეობის 9% ფულადი გზავნილების მიმღებია. ფინანსური ინსტიტუტების წმინდა შემოსავლის 20% ფულადი გზავნილების მომსახურების გადასახადებზე მოდის, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტებს ძალიან დიდ არაფორმალურ სექტორთან, ანუ მეგობრების, ნათესავებისა და სხვების მეშვეობით ფულადი გზავნილების გამოგზავნასთან (სავარაუდოდ, მთელი გზავნილების ერთი მესამედი) უწევს კონკურენცია.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მიგრანტთა დანიშნულების ნომერი პირველი პუნქტია და მსოფლიოში მეორე ქვეყანაა, აშშ-ის შემდეგ, საერ-

1 www.worldbank.org
2 www.worldbank.org
3 www.nbg.ge

გრაფიკი 1
ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით (2011 წლის მონაცემი) www.nbg.ge



გრაფიკი 2
ფულადი გზავნილები (2007–2011I-III*) www.nbg.ge



თაშორისო მიგრანტების რაოდენობით. 2006 წლის მონაცემების თანახმად, (წყარო: გაერო) საზღვარგარეთ 250-300 ათასი ქართველი მიგრანტი მუშაობს, მათ შორის 200 000-მდე – რუსეთში. რუსეთიდან ფულადი გზავნილების მაჩვენებელი 7-ჯერ გაიზარდა 1999-2004 წლებში. ამჟამად საქართველოში ყველა ფულადი გზავნილის 65% რუსეთიდან შემოდის, რომელსაც მოსდევს საბერძნეთი და იტალია (გრაფიკი 1). ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის ვარაუდით, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა მილიონს აჭარბებს.

გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად, განვითარებად ქვეყნებში ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 2009 წლიდან მათი მცირედი კლება საქართველოშიც შეინიშნებოდა; თუმცა, ეს დროებითი მოვლენა აღმოჩნდა და ფულადი გზავნილების მოცულობა ახლა კვლავ იზრდება (გრაფიკი 2). ზოგ ეკონომისტს მიაჩნია, რომ ფულადი გზავნილები ეკონომიკური შოკის მატარებელი შეიძლება იყოს, თუმცა არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ ეკონომიკური რეცესიის დროს ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან დახმარებას და ფინანსურ წყაროს წარმოადგენს[4].

თუმცა, ევროზონის მიმდინარე კრიზისის გათვალისწინებით, მოსალოდნელია ფულადი გზავნილების შემცირება იმ განვითარებად ქვეყნებში, რომელთა მოქალაქეებიც კრიზისში მყოფ ევროპულ ქვეყნებში ცხოვრობენ. ამის საფრთხე საქართველოს წინაშეც დგას, რომელიც ფულადი გზავნილების მნიშვნელოვან ნაწილს საბერძნეთიდან და იტალიიდან იღებს. 2011 წლის მესამე კვარტლის მონაცემები ჯერ ამ ტენდენციას არ აჩვენებს. მცირედი კლება აღინიშნება ფულად გზავნილებში ესპანეთიდან, თურქეთიდან, უკრაინასა და რუსეთის ფედერაციიდან. თუმცა, მეოთხე კვარტალში, სეზონური დღესასწაულების დადგომასთან ერთად, მონაცემები შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს, ანუ, ზრდა არის მოსალოდნელი (გრაფიკი 3). წარმოების კლება რუსეთში მიგრანტების ფულად გზავნილებსაც ატყობს კვალს; რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემცირებამ უკვე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მიმღები ქვეყნების ეკონომიკების განვითარებაზე.

4 www.un.org

გრაფიკი 3
ძირითადი ქვეყნები ფულადი გზავნილების მიხედვით (2007–2011 I-III*) www.nbg.ge



გრაფიკი 4
ფულადი გზავნილები და გრანტები 2009–2010 www.geostat.ge



ამრიგად, ფულად გზავნილებს შეიძლება შევხედოთ, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანს მიმღები ქვეყნების განვითარებისთვის. მიგრანტთა ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი წყაროა, რაც ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს, შეიძინონ სასიცოცხლო საიმპორტო საქონელი ან გადაიხადონ საგარეო ვალები. ამავე დროს, დონორი ეკონომიკები ძალზე მგრძნობიარენი არიან საგარეო შოკების მიმართ, უცხოეთიდან ფულადი გზავნილები კი ამ საგარეო შოკებისგან დამცავი ბუფერის ფუნქციას ასრულებს[5]. ძალზე მნიშვნელოვანია ფულადი გზავნილების ზეგავლენისა და მნიშვნელობის გააზრება და გზავნილების მართვის უფრო ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების გზების ძიება[6][7]. ფულადი გზავნილების სწორად მართვას იმისათვის, რომ ისინი პოტენციური ზრდის შესაძლებლობად იქცეს, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფულადი გზავნილები საქართველოში შემოსული გრანტებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს აღემატება (გრაფიკები 4 და 5). ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და განვითარების ხელშეწყობის ოფიციალური დახმარების სხვადასხვა წყაროსგან განსხვავებით, ფულადი გზავნილებისთვის არ არის დამახასიათებელი უკუნაკადები პროცენტის, ვალის ან დივიდენდის გადახდის ფორმით[8].

გრაფიკი 5
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები 2007–2011 I-III* www.geostat.ge



5 www.eabr.org
6 www.iom.int
7 www.un.org
8 www.remitaid.org

ფულადი გზავნილების დადებითი და უარყოფითი ასპექტები

ფულადი გზავნილების წვლილი ეკონომიკებში შთამბეჭდავია. პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობა ძალზე დამოკიდებულია ფულად გზავნილებზე, რომელთა მოცულობაც მშპ-ის 25%-ს აღემატება. ერთი მხრივ, ფულად გზავნილებს ეკონომიკის ცალკეული სექტორების სტიმულირების, ინვესტიციების და წარმოების გაზრდის პოტენციალი აქვს. მეორე მხრივ, მათ შეიძლება ინფლაცია გამოიწვიონ, ვინაიდან ხალხის გაზრდილი მსყიდველობითი უნარი ფასების მატებას და ადგილობრივი პროდუქციის იმპორტით ჩანაცვლებას უწყობს ხელს[9]. ფულადი გზავნილების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ზოგი ანალიტიკოსი მთავრობას და დონორებს ურჩევს არ შეაფერხოს მიგრაცია და ფულადი გზავნილები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ფულადი გზავნილების ზოგი დადებითი და უარყოფითი ასპექტებია ნაჩვენები.

ცხრილი 1 დადებითი და უარყოფითი მხარეები (www.iom.int)

დადებითი:	უარყოფითი:
აფინანსებს საგარეო დეფიციტს	ამცირებს ზეწოლას მთავრობაზე, გაატაროს რეფორმები საგარეო დისბალანსის შესამცირებლად
დანაზოგის და ინვესტიციის პოტენციური წყაროა	ეკონომიკური შოკის მატარებელია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ფულად გზავნილებზე დამოკიდებულია
განათლებაში ინვესტირებას უწყობს ხელს	ამცირებს მიმღები ოჯახების მოტივაციას, იშოვნონ სამუშაო
მიმღებთა ცხოვრების სტანდარტს აუმჯობესებს, სიღარიბეს ამცირებს	უარყოფითად მოქმედებს ზრდასა და განვითარებაზე, ამცირებს მუშა ხელის რაოდენობას

შრომითი მიგრაციის ყველაზე თვალნათელი დადებითი ასპექტი მიგრანტთა შინამეურნეობების ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებაა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ განვითარებად ქვეყნებში ხარჯვის მოდელები შეიცვალა და დანახარჯები საკვებსა და ტანსაცმლიდან განათლებისა და ჯანდაცვისკენ გადადის. ეს ფაქტორები, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში განათლებული და ჯანსაღი მუშახელის შექმნას[10].

9 www.ebrd.org
10 www.un.org

თუმცა, ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებასთან ერთად, ფულადმა გზავნილებმა შესაძლოა უთანასწორობაც გაზარდოს და ის შინამეურნეობები, რომლებიც ფულად გზავნილებს არ იღებენ, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ზემოთ ნაჩვენები ცხრილის ქართულ რეალობაში გამოყენებისას, ყურადღება ფულადი გზავნილების შემოდინების რამდენიმე უარყოფით ეფექტზე უნდა გავამახვილოთ. ყველაზე თვალშისაცემი პრობლემა, რომელიც ფულად გზავნილებს მოაქვს, მიმღები ოჯახების მიერ სამუშაოს შოვნის მცდელობის შემცირებაა, ანუ, უმუშევარი ხალხი აღარ ეძებს სამუშაოს. ფულად გზავნილებზე დამოკიდებულება მუშაობის, ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მოტივაციას ანელებს, ვინაიდან ფულადი გზავნილების უდიდესი წილი მოხმარებაზე იხარჯება, ვიდრე ეკონომიკურ წარმოებაზე[11].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია და 2010 წელს 16.3% შეადგინა[12], ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ[13] აჩვენა, რომ 31% უმუშევარი რესპონდენტიდან მხოლოდ 5% არ არის დაინტერესებული, მოძებნოს სამუშაო. ძნელია თქმა, დამოკიდებული არიან ეს ადამიანები ფულად გზავნილებზე თუ არა და ეს არის მათი სამუშაოს ძიებით დაუინტერესებლობის მიზეზი თუ არა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ წინა ნაშრომში, ჩვენ გამოვყავით დომინანტური სტრუქტურული უმუშევრობის პრობლემა საქართველოში; ესეც შეიძლება დაკავშირებული იყოს ე.წ. „ინტელექტის გადინებასთან„, რასაც მიგრაციის მაღალი დონეები იწვევს.

ამავე დროს, ცნობილია, რომ ინფლაცია და უმუშევრობა ერთმანეთთან უკუქმედებით კავშირშია, ანუ, მაღალი უმუშევრობის დროს, ინფლაცია დაბალია, რადგან უმუშევრობის გამო მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი მცირდება და შედეგად, მთლიანი მოთხოვნა და აქედან გამომდინარე, ინფლაციის დონეც კლებულობს. საინტერესოა, რომ საქართველოს შემთხვევაში ეს ასე არ არის (გრაფიკები 6 და 7).

გრაფიკი 6
საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში 2009–2011 (I-XI) www.geostat.ge



11 www.iom.int
12 www.un.org
13 www.geostat.ge

ГРАФИКИ 7
ინფლაცია და უმუშევრობა (2007–2010) www.geostat.ge



ГРАФИКИ 8
ფულადი გზავნილები და ინფლაცია 2009–2011 www.nbg.ge, www.imf.org



ამ გრაფიკებიდან ჩანს, რომ უმუშევრობა ინფლაციის ზრდასთან ერთად მატულობს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ფულადი გზავნილების შემოდინება შეიძლება იყოს, რასაც შედეგად გადაჭარბებული მოხმარება და იმპორტზე დამოკიდებულება მოაქვს და ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციამ მუშახელის მიწოდება შეამცირა, უმუშევრობის დონე ქვეყანაში მაინც მაღალია. 2000-იანი წლების მეორე ნახევარში საჯარო სექტორში კადრების შემცირებას, ხელფასების ზრდა მოყვა, თუმცა შრომის პროდუქტიულობის გაუმჯობესება არ მოყოლია, რამაც ინფლაციური ზეწოლა გამოიწვია ეკონომიკაში. ამ არგუმენტს ამყარებს ქვემოთ მოცემული გრაფიკი, რომელშიც ბოლო სამი წლის განმავლობაში პროცენტული ცვლილელებები ფულად გზავნილებსა და ინფლაციაში ერთმანეთთან არის შედარებული (გრაფიკი 8). ეს გრაფიკი პოზიტიურ კორელაციას აჩვენებს ფულად გზავნილებსა და ინფლაციას შორის.

ამ არგუმენტის სისწორე არ დასტურდება 2009 წლის მონაცემებით, როდესაც ქვეყანაში დეფლაცია, ფულად გზავნილებთან ერთად, სხვა ფაქტორებმაც განაპირობეს.

ფულადი გზავნილების კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი შეიძლება ეკონომიკური არასტაბილურობა იყოს, ვინაიდან ისინი ვალუტის გამყარებას უწყობს ხელს და კონკურენცას ზღუდავს. ამ ვარაუდის შესამოწმებლად, ქართული ლარის აშშ დოლართან გაცვლის ოფიციალური კურსი განვიხილოთ. ზოგადად, ცნობილია, რომ ინფლაციის დროს ეროვნული ვალუტები უფასურდება; საქართველოს შემთხვევაში ეს ასე არ არის (გრაფიკი 9). ქართული ლარის აშშ დოლართან გაცვლის ოფიციალური კურსი სტაბილურად დაახლოებით 1.65 ლარია ისეთი მაღალი ინფლაციის პირობებშიც კი, როგორიც 2011 წლის გაზაფხულ-ზაფხულში იყო. ფულადმა გზავნილებმა, სავარაუდოდ, თავისი წვლილი ვალუტის სტაბილურობაშიც შეიტანა. მსხვილი ფულადი გზავნილები და უცხოურ ვალუტაში კაპიტალის ნაკადები ინფლაციის ფაქტორებს წარმოადგენს, ვინაიდან კაპიტალის ადგილობრივი განუვითარებელი ბაზრის პირობებში, ცენტრალურ ბანკს არ ძალუძს, სტერილიზაციის მსხვილი ინტერვენციები რეგულარულად განახორციელოს. ეს მძიმე დამატებითი ტვირ-

გრაფიკი 9
აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი
www.nbg.ge



თია მიგრანტების იმ შინამეურნეობებისთვის, რომლებიც მიღებულ დოლარებს იმავე რაოდენობის დაბალი მსყიდველობითი უნარის მქონე ლარებში ცვლიან. მეორე მხრივ, ფულადი გზავნილების უწყვეტი შემოდინების გამო, ვალუტის გამყარების თავიდან აცილება შეიძლება რთული და ძვირი საქმე იყოს. მსხვილი ფულადი გზავნილების ზემოქმედება ვალუტის გაცვლის რეალურ კურსზე შეიძლება განეიტრალდეს საწარმოო სიმძლავრეების და კონკურენტულობის გაუმჯობესებით, რაც ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისა და ექსპორტისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მეშვეობით არის შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის ზრდას ისეთივე ეფექტი აქვს ვალუტაზე (ანუ, ამყარებს ვალუტას), ეს ორი ზეწოლა განსხვავებული ხასიათისაა - მარტივად თუ ვიტყვით, ექსპორტის გზით ვალუტის გამყარებას დეფლაციური ზეწოლა ანეიტრალებს.

გარდა ამისა, ემპირიული კვლევით დადგინდა, რომ ფულად გზავნილებსა და ვაჭრობის გაუარესებას შორის კორელაცია არსებობს - ფულადი გზავნილების, როგორც მშპ-ის წილის 10%-იანი ზრდა ექსპორტს 2%-ით, ანუ, მშპ-ის 4%-მდე ამცირებს[14], რადგან ფულადი გზავნილების შემოდინება ეროვნული ვალუტის გამყარებას იწვევს, რაც თავის მხრივ ქართულ პროდუქციას აძვირებს უცხოურ ბაზარზე, ამგავარად ამცირებს ექსპორტს. საქართველოში, რომელსაც მუდმივად უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს (გრაფიკი 10), ფულადმა გზავნილებმა შესაძლოა მთავარი როლი ითამაშოს იმპორტის მოთხოვნის ზრდაში. როგორც ამ გრაფიკიდან ჩანს, 2011 წელს სავაჭრო ბალანსი უკვე მეორედ, 2008 წლის შემდეგ, რეკორდულად მაღალი იყო. იმპორტის დიდ ზრდას აგრეგირებული მოხმარების მკვეთრი მატება იწვევს. ფულადი გზავნილები საქართველოს სავაჭრო დეფიციტის ნაწილს აფინანსებს.

მოკლედ, საქართველო პატარა ქვეყანაა, საიდანაც მიგრანტთა დიდი ნაკადი გაედინება და ამავდროულად, უცხოური ვალუტის მსხვილი ნაკადები შემოედინება. არაოფიციალუ-

14 www.un.org

გრაფიკი 10
საგარეო ვაჭრობა (მილ. აშშ დოლარი) 2006–2011 www.geostat.ge



რი ფულადი გზავნილების მოცულობა დიდია და მთლიანი ფულადი გზავნილების დაახლოებით 40%-ს შეადგენს. ფულად გზავნილებს ადგილობრივი მოთხოვნის მატებასთან, იმპორტის ზრასა და ექსპორტის კლებასთან მივყავართ. ძლიერი ზეგავლენა აღინიშნება კერძო მოხმარების, ადგილობრივი მოთხოვნის და მშპ-ის ზრდის ტემპებზე[15].

დადებით მხარეებს რაც შეეხება, ფულადი გზავნილები უფრო სტაბილურია, ვიდრე კერძო კაპიტალის ნაკადები, და შესაბამისად, ქვეყნის საგარეო დაფინანსების წყაროებს ამრავალფეროვნებს. განსაკუთრებით, თუ მშობლიური ქვეყნის და მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ ციკლებს შორის შედარებით ნაკლები კორელაცია არსებობს, რაც ასეა საქართველოს შემთხვევაში. მომდევნო თავში ვისაუბრობთ იმაზე, რომ ფულადი გზავნილები, მათი სათანადო მართვისა და გამოყენების შემთხვევაში, ზრდისა და განვითარების წყაროდ შეიძლება იქცეს, რაც მათ ნეგატიურ ასპექტებს გაანეიტრალებს.

15 www.aiel.it

როგორ გამოვიყენოთ ფულადი გზავნილების სრული პოტენციალი

ვინაიდან განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში ფულადი გზავნილების მსხვილი ნაკადები შედის, მნიშვნელოვანია, რომ ფულადი გზავნილები განხილული იქნეს, როგორც ზრდისა და განვითარების საშუალება. მიმღებმა ქვეყანამ ფულადი გზავნილები განვითარებისთვის რომ გამოიყენოს, მას ფულად გზავნილებზე უფრო სრულყოფილი ინფორმაცია და მონაცემები, მათი გამოყენების უკეთესი მოდელები, გადარიცხვის მექანიზმები, დანაზოგებისა და ინვესტიციებისადმი მიდგომები და პრეფერენციები უნდა ჰქონდეს[16].

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც მთავრობამ შეიძლება გადადგას, არის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და გაურკვევლობის განცდის შემცირება სტაბილური მონეტარული პოლიტიკის გატარებით. ამავე დროს, ფულადი გზავნილების პოტენციალის რეალიზების საუკეთესო გზას კაპიტალის ნაკადების, მათ შორის ფულადი გზავნილების, ხელშემწყობი სტაბილური ლეგალური გარემოს შექმნა წარმოადგენს, როგორიც საკუთრების უფლებების ურყევი დაცვაა. ეს ნიშნავს ზოგადი კლიმატის გაუმჯობესებას დანაზოგებისა და ინვესტიციებისთვის და ასევე, ფინანსური სექტორის მდგრად ზრდას.

დანაზოგები და ინვესტიციები - ფულადი გზავნილები მეტ-ნაკლებად სტაბილური ნაკადებია და მათ კონტრ-ციკლურობა არ ახასიათებს ეკონომიკური რეცესიის დროს, ვინაიდან ნათესავები და მეგობრები, ხშირად, მეტს აგზავნიან, როდესაც მიმღები ქვეყანა ეკონომიკურ დაღმავლობას განიცდის[17]. ამიტომ ისინი საგარეო დაფინანსების უფრო სტაბილურ წყაროდ შეიძლება იქნეს განხილული. ფულადი გზავნილების მიმღებთა წახალისება, დაზოგონ მიღებული თანხები, მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იქნება, შეიცვალოს საქართველოს ბანკებში არსებული ტენდენცია, რომლის მიხედვითაც კრედიტები დეპოზიტებს აჭარბებს (გრაფიკი 11). ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის გაუმჯობესება, თავის მხრივ, კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შეამცირებს და ფინანსებს უფრო ხელმისაწვდომს გახდის, რაც ხელს შეუწყობს მეწარმეობას, ბიზნესს და ინოვაციურ ბიზნეს-წამოწყებებს და ეკონომიკურ ზრდას მოიტანს. ფინანსების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით საინტერესო საკითხია, ვინაიდან გლობალური კონკურენტულობის ანგარიშის

16 www.iom.int
17 Ratha, 2011

გრაფიკი 11
დეპოზიტები და სესხები www.nbg.ge



მიხედვით, ეს პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი ფაქტორთაგანია, რაც მეწარმეობის განვითარებას უშლის ხელს[18]. გარდა ამისა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კვლევის თანახმად, ფულადი გზავნილების მიმღებთა უმეტესობა - 46%, 35-დან 49 წლამდე ასაკის ადამიანები არიან, ანუ აქტიური მუშახელი, რომელსაც ახალი ბიზნესის დაწყების პოტენციალი გააჩნია[19].

დიასპორის ობლიგაციები

დანაზოგების საკითხის მოგვარების კიდევ ერთი საინტერესო გზა ე.წ. დიასპორის ობლიგაციების გამოშვებაა. რამდენიმე განვითარებადმა ქვეყანამ ეს გააკეთა და წარმატებასაც მიაღწია. ეს სისტემა შემდეგნაირად მუშაობს: მთავრობა გამოსცემს სხვადასხვა დენომინაციის ობლიგაციებს (მცირე თანხიდან, მაგალითად, 100 აშშ დოლარიდან დაწყებული) და სთავაზობს მათ ემიგრანტებს, რომლებიც უფრო განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობენ. ამ ობლიგაციებმა ემიგრანტებს მეტი მოგება უნდა მოუტანოს, ვიდრე იმ დეპოზიტებმა, რომლებიც მათ იმ ქვეყნების ბანკებში აქვთ განთავსებული, სადაც ცხოვრობენ. ამ ობლიგაციების გაყიდვით შემოსული თანხა განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, სოციალური ან ეკონომიკური ასპექტების დასაფინანსებლად გამოიყენება, რათა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტები ამაღლდეს. ასეთი პროგრამები საკმაოდ წარმატებით ხორციელდება ბევრ ქვეყანაში (ისრაელსა და ინდოეთში[20]), რადგან ამ ქვეყნების მიგრანტები ხშირად პატრიოტები არიან და მოსწონთ ის აზრი,

18 www.weforum.org
19 www.ebrd.com
20 www.economist.com

რომ მათი დანაზოგები სამშობლოს გაუმჯობესებას ხმარდება. ამავე დროს, ისინი, სხვა ინვესტორებისგან განსხვავებით, ბევრად უკეთ იცნობენ თავიანთ სამშობლოში არსებულ ვითარებას და ნაკლებად უფრთხიან რისკს; ისინი უფრო ლოიალურები არიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანას უჭირს[21]. მათ, ასევე, ნაკლებად აღელვებთ დევალვაციის რისკი, ვინაიდან ისინი უფრო იყენებენ ადგილობრივ ვალუტას. ასეთი ობლიგაციების გაყიდვაში წამყვანი როლი საელჩოებსა და საკონსულოებს შეუძლიათ ითამაშონ. თუმცა, ფულადი თანხების პოტენციური შემოდინების და მათი გადინების (როცა მათი დაფარვის დრო დადგება) ეს სისტემა ფრთხილ მაკროეკონომიკურ მენეჯმენტს მოითხოვს, განსაკუთრებით როდესაც საქმე გაცვლის კურსებს ეხება.

დიასპორის წარმომადგენლებმა შეიძლება, ასევე, თავიანთი მშობლიური ქვეყნის კაპიტალის ბაზრის განვითარებაში კატალიზატორის როლი ითამაშონ, ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციის, ახალი ფინანსური პროდუქტების დანერგვის და დაფინანსების საიმედო წყაროს უზრუნველყოფის გზით. დიასპორის წევრებს შეუძლიათ ორ ქვეყანას შორის საინვესტიციო ნაკადების გაზრდა, ვინაიდან ისინი ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ, რაც საინვესტიციო შესაძლებლობების განსაზღვრას და რეგულირების მოთხოვნებთან შესაბამისობას ხელს შეუწყობს. მიგრანტები შეიძლება ინვესტორებზე მეტად იყვნენ მზად, გასწიონ რისკი თავიანთ მშობლიურ ქვეყანაში, ვინაიდან მათ უკეთ შეუძლიათ შეაფასონ საინვესტიციო შესაძლებლობები და აქვთ კონტაქტები საინვესტიციო პროცესის ხელშესაწყობად.

ექსპერტების აზრით, უნარ-ჩვევებთან, ცოდნასა და სამეწარმეო შესაძლებლობებთან ერთად, დიასპორას ბევრი სხვა სიკეთის მოტანა შეუძლია, გარდა ფულადი გზავნილებისა. მაგალითად, მიგრანტები უპირატესობას თავიანთი მშობლიური ქვეყნის საქონელსა და მომსახურებას ანიჭებენ და ეთნიკური პროდუქტებით „ნოსტალგიურ„ ვაჭრობას უწყობენ ხელს. აფრიკულმა ქვეყნებმა შექმნეს დიასპორის სავაჭრო საბჭოები და ჩართეს დიასპორა სავაჭრო მისიებსა და ბიზნეს ქსელებში. ეს წარმატებული აღმოჩნდა აფრიკული ვაჭრობის ხელშეწყობისთვის და მისი საერთაშორისო ვაჭრობაში ინტეგრირებისათვის.

ფინანსური სექტორი - ვინაიდან ფულადი გზავნილები მხოლოდ კერძო ფონდებია, მათი განვითარების პოტენციალის რეალიზებისთვის მიღებული ზომები მხოლოდ სტიმულების ფორმით უნდა იყოს, მაგალითად, გადარიცხვის პროცესის გაიაფების, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და მეტი დაცულობის უზრუნველყოფის სახით. ვინაიდან არაფორმალური არხებით გამოგზავნა უფრო იაფი ჯდება, ადვილია და ანონიმურობას უზრუნველყოფს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფორმალური არხების პოპულარიზაციას. სტიმულების სახით შეიძლება შეთავაზებული იყოს საბანკო ანგარიშები, კრედიტები, იპოთეკა და საკრედიტო ხაზები. ანაბრების მოზიდვაში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა შესაძლოა ფინანსური ინსტიტუტებისადმი ნდობის ნაკლებობა იყოს. 2009 წლის მდგომარეობით, ფულადი გზავნილების მიმღებთა მხოლოდ 9%-ს ჰქონდა ბანკში ანგარიში გახსნილი, თუმცა

21 www.economist.com

ბანკებისადმი ზოგადი განწყობა დადებითია და ფულადი გზავნილების მიმღებთა 79%-ს პოზიტიური შეხედულება აქვს ბანკების შესახებ. საბანკო სექტორი უბრალოდ ფულადი გზავნილების მისაღებ შუამავალ რგოლად არის გამოყენებული და ფულადი გზავნილების მიმღებთა უმეტესობა საბანკო ანგარიშს არ იყენებს. ბანკის როლი, როგორც სხვა საბანკო სერვისების გამწევისა, მაგალითად, ანგარიშის შენახვის, ანაბრის გახსნის და კრედიტის აღების, შეზღუდულია. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ამაღლდეს ფინანსების შესახებ ცოდნის დონე, მოხდეს სხვადასხვა ფინანსური მომსახურების პოპულარიზაცია, მიმზიდველი გახდეს ეს მომსახურება ფულადი გზავნილების მიმღებთათვის, განვითარდეს თანამედროვე ტექნოლოგიები მობილური ბანკინგის, რეგიონებში ფინანსური ინსტიტუტებში შეღწევის ფორმებით[22].

ამავე დროს, საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ სასარგებლოა მიგრანტებისთვის გამიზნული და მათზე მორგებული ფინანსური პროდუქტების შემუშავება და შეთავაზებაც. იქ სადაც კერძო ფულადი გზავნილები მიგრანტების ოჯახებისკენ მიემართება, ზოგმა ქვეყანამ (მაგალითად, ინდოეთმა) შექმნა ე.წ. „არარეზიდენტების„ ანაბრები საინვესტიციო ნაკადების გაზრდისათვის, რომლებიც გამოყენებული იქნება უფრო დანაზოგების შესაქმნელად, ვიდრე მოხმარებისათვის (როგორც ფულადი გზავნილების შემთხვევაშია). ამ ანაბრებს აქვს მაღალი საპროცენტო განაკვეთები, გაცვლი კურსის გარანტიები და მათზე დარიცხული პროცენტი გადასახადისგან არის გათავისუფლებული. იქ სადაც საინვესტიციო კლიმატი ხელსაყრელია და მოგება მაღალი, შედარებით მდიდარი მიგრანტები ინვესტიციებს ფინანსურ ინსტრუმენტებში აბანდებენ, როგორც, მაგალითად, ინდოეთის ობლიგაციების შემთხვევაშია[23].

22 www.iom.ge
23 www.un.org

დასკვნები და რეკომენდაციები

ფულად გზავნილებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შინამეურნეობათა მოხმარების სტაბილურობაში. ისინი საქართველოში სამუშაოს არმქონე ოჯახების სოციალური უზრუნველყოფის და შემოსავლის წყაროა. ამავე დროს, ფულადი გზავნილები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც განვითარების ხელშეწყობის ოფიციალური დახმარება. ასეთი გზავნილები დაბალშემოსავლიანი ქვეყნების განსაკურნავ წამალს არ წარმოადგენს. მიგრანტთა ფულადი გზავნილებით შესაძლებელია გადაუდებელი საბიუჯეტო შეზღუდვების შემსუბუქება სურსათზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე დანახარჯების გაზარდის გზით, მაგრამ ფულადი გზავნილების არაპროგნოზირებადობის გამო, მათი განხილვა, როგორც ადგილობრივი შემოსავლის ჩამნაცვლებლისა, არ შეიძლება.

მიუხედავად ამისა, ფულადი გზავნილები ეფექტიანია ადგილობრივი ეკონომიკური და ფინანსური გარემოს გასაუმჯობესებალდ. კარგად განვითარებული ფინანსური სისტემებითა და ინსტიტუტებით შესაძლებელია ხელი შეეწყოს ფულადი გზავნილების უფრო დიდი წილის ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერებაში ინვესტირებას. სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო და სტაბილურობის განცდა ხელს შეუწყობს პირადი დანაზოგების ზრდას. ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა წაახალისებს ფულადი გზავნილების გამოყენებას ბიზნესში ინვესტირებისთვის, ვიდრე უბრალოდ საოჯახო მოხმარებისათვის, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკურ უსაფრთხოებას ყველა დონეზე გააძლიერებს.

ფულად გზავნილებს ორი დაინტერესებული მხარე ჰყავს - გამომგზავნი და მიმღები, თუმცა მთავრობაც მნიშვნელოვანი მოთამაშეა და მას ფულადი გზავნილების პოტენციური როლის რეალიზების ხელშეწყობა გამართული ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნით შეუძლია, რაც გააძლიერებს ფულადი გზავნილების განვითარებაზე ზემოქმედებას. ფულადი გზავნილები არა მარტო მიმღებ შინამეურნეობებს უზრუნველყოფს საარსებო საჭიროებების დაფინანსების საშუალებებით, არამედ აქვს პოტენციალი შეიტანოს წვლილი ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივ, რეგიონულ და ნაციონალურ დონეებზე.

წინამდებარე რეკომენდაციები სამი მთავარი მოთამაშისკენ (ფულადი გზავნილების მიმღებების გარდა) არის მიმართული: საქართველოს მთავრობის, კომერციული ბანკების და საქართველოს ეროვნული ბანკისკენ.

- ფულად გზავნილებზე მონაცემთა შეგროვება, შინამეურნეობათა კვლევები ხარჯვით

მოდელებზე, არაფორმალურად გამოგზავნილი ფულადი გზავნილების მოცულობა და მათი გავლენა. კვლევის მასშტაბი მეტ-ნაკლებად შეზღუდულია ამ მონაცემთა ნაკლებობის გამო. არაფორმალური გადმორიცხვების მოცულობის შემცირება შესაძლებელია გადმორიცხვის ფორმალური არხების გამოყენების პოპულარიზაციით და მათი გამოყენების სარგებელზე ფოკუსირებით.

იმ ზოგადი არგუმენტების შესაბამისად, რაც წინამდებარე ნაშრომშია მოტანილი, მიგვაჩნია, რომ შემდეგი ნაბიჯებია გადასადგმელი:

მთავრობის მიერ:

- სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ დიასპორებთან კომუნიკაციის და, ზოგადად, ურთიერთობების გაძლიერება; ბიზნეს-ფორუმების ორგანიზება დიასპორის ინვესტიციების ხელშესაწყობად; დიასპორის წარმატებულ და გამოცდილ წევრებთან სპეციფიკური საქმიანობების და პროგრამების შემუშავება, ცოდნის გაზიარების ქსელების გასაძლიერებლად.

- მძლავრი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა ასევე ხელს შეუწყობს ფულადი გზავნილების მიმართვას ეკონომიკის პროდუქტიული სექტორებისაკენ.

- ხელშემწყობი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს დამყარება სტაბილურობის განცდის შექმნის გზით.

კომერციული ბანკების მიერ:

- არარეზიდენტებისათვის სპეციალიზებული საბანკო მომსახურების სახეების შეთავაზება.

- სხვა ისეთი ფინანსური პროდუქტების პოპულარიზაცია, რომლებიც დაანახებს ფულადი გზავნილების მიმღებებს საბანკო ანგარიშის სიკეთეს, ისეთი ფინანსური სერვისების შეთავაზებით, როგორებიცაა საკრედიტო ხაზი, იპოთეკის შესაძლებლობები. რადგანაც ფულადი გზავნილები დაუსაქმებელთა შემოსავლის წყაროდ მიჩნევა, მსგავსი ნაბიჯები დაუსაქმებლებს კრედიტის აღების შესაძლებლბას მისცემს.

გამოყენებული ლიტერატურა

Economist (The). Milking Migrants.
Retrieved from
http://www.economist.com/node/21526324
on 2011-11-01

European Bank for Reconstruction and Development. Gergia national public opinion. Survey on Remittances. 2007. Retrieved from
http://www.ebrd.com/downloads/sector/etc/surge.pdf
on 2011-11-12

Eurasian Development Bank. Regional Effect of the Global Economic Crisis in the CIS: Migrant's Remittances. Retrieved from
http://eabr.org/media/img/rus/publications/magazine/no4(2011)/n4_2011_10.pdf
on 2011-10-30

International Organization for Migration. Migration in Georgia. A country Profile. 2008. Retrieved from
http://jcp.ge/iom/pdf/M_Georgia.pdf
on 2011-11-03

International Organization for Migration. Feasibility study of the Use of mobile phones for facilitating international money transfers to Georgia.
Retrieved from
http://jcp.ge/iom/pdf/feasibility_eng.pdf
on 2011-11-04

International Organization for Migration. Remittances to Least Developed Countries (LDCs). 2006. Retrieved from

http://www.iom.int/unitedstates/conferencesonmigration/PDFs/Remittances%20in%20Least%20Developed%20Countries,%20Benin%20February%202006/Remittances%20to%20LDCs%20Background%20Paper%20English.pdf
on 2011-11-09

International Monetary Fund. Regional Economic Outlook 2011: Middle East and Central Asia. Retrieved from
http://www.imf.org/external/pubs/ft/reo/2011/mcd/eng/mreo1011.htm
on 2011-11-29

International Organization for Migration. Testing new channels and products to maximize the development impact of remittances for the rural poor in Georgia. Assessment of banking institutions. Retrieved from
http://jcp.ge/iom/pdf/banking_eng.pdf
on 2011-11-08

International School of Economics at Tbilisi State Univeristy. Remittances in Georgia: Correlates, Economic Impact, and Social Capital Formation. Retrieved from
http://iset.ge/index.php?article_id=389
on 2011-11-11

Italian Economists Association. The Poverty effect of remittance flows: evidence from Georgia. 2008. Retrieved from
http://www.aiel.it/bacheca/BRESCIA/papers/uzagalieva.pdf
on 2011-11-10

National Democratic Institute. Economic Issues are foremost on the minds of Georgians, NDI survey Finds. Retrieved from
http://www.ndi.org/files/Georgia-Survey-Results-report-101011.pdf
on 2011-10-20

Ratha, D., 2011. Harnessing Diasporas. Finance and Development. Vol. 48, no 3

Remittance Tax Relief for Institutional Development. Mitigating the Structural Imperfections and Negative Impacts of Remittances. Retrieved from
http://www.remitaid.org/downloads/Mitigating%20the%20Imperfections%20of%20Remittances%20-%20Gibril%20Faal%20-%20GKP.pdf
on 2011-11-02

United Nations. International symposium on international migration and development.
Retrieved from
http://www.un.org/esa/population/migration/turin/Symposium_Turin_files/P10_SYMP_Ivakhniouk.pdf
on 17-11-11

United Nations. The Impact of Remittances on Economic Insecurity 2009.
Retrieved from
http://www.un.org/esa/desa/papers/2009/wp78_2009.pdf
on 2011-11-01

World Bank. Migration and Development Brief. Outlook for Remittance Flows 2011-12. Retrieved from
http://siteresources.worldbank.org/INTPROSPECTS/Resources/334934-1110315015165/MigrationAndDevelopmentBrief13.pdf
on 2011-11-05

World Bank. Migration and Remittances.
Retrieved from
http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/NEWS/0,,contentMDK:20648762~pagePK:64257043~piPK:437376~theSitePK:4607,00.html
on 2011-11-17

World Economic Forum. Global Competitiveness Report 2011-2012. Retrieved from
http://reports.weforum.org/global-competitiveness-2011-2012/
on 2011-10-28

E P R C
Economic Policy Research Center

მარჯანიშვილის ქუჩა 5. მეოთხე სართული. ოფისი 417. 01 02. თბილისი. საქართველო
ტელ/ფაქსი: 2 207 305
e-mail. info@eprc.ge
www.eprc.ge